

რედამცია

მოღონის (აბას-ბატის) მედნზე, შორანოვის ხალხში.

ხელის-მწერა

რედამციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ძალაქს ვარუშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის უასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შურტი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სწამლულს და სხვა ცუზულს ენებზე.

განცხადების უასი

დიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ., პეტითი — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედამცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გაგონის კვირავით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

სამართლებლო

როგორ იმართლებენ თავს?

მეორე გასამართლებელი მიზეზი მღვდლებსა არის — ხალხის გაუგონლობა.

„ჩვენ ბევრჯერ ვეცადებით, იტყვიან მღვდლები, რომ რომელიმე კეთილი საქმე დაგვეწყოს ხალხისთვის, მაგრამ ჩვენი ხალხი ისეთივე გაუგონარი არის, რომ ვერაფერზედ ვერ დაეთანხმეთა“.

მართალია, ჩვენი ხალხი გაუგონარი არის, მაგრამ რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ჩვენი ხალხი ისე დაბნელებულია, ისე დაკარგა კაცობრიული თვისებანი, რომ რომელიმე ახალი საქმის დაწყება ვერ შეუძლიან, ახალი ჰაზრის მიღების ნიჭი არა აქვს? არა, სულ ყველა ესენი ტყუილი არის. ჩვენი ხალხი ისევე ხალხია, გრძობს თავის შევიწროებას, აქვს გულითადი სურვილი განათლებისა და ცხოვრების გაუმჯობესობისა; მაგრამ არა ჰყავს კეთილ-საიმედო და სანდო წინამძღოლი; ვერაიხსა ნდობა; ვისაც ენდო, ყველამ ის გაყეულია.

აეილოთ, მაგალითათ, სასოფლო შკოლების და პურის მაღაზიების გახსნა. რა იმედით გაამართინეს გლეხებს სასოფლო შკოლები და რამოდენა სარგებლობა მოუტანათ, ან მოაქეთ, — ეს ყველა მკითხველმა უნდა იცოდეს, მისთვის რომ ბევრჯერ ყოფილა ამაზედ ბაასი გაზეთებში და ამისთვის მე ამ სამწუხარო მოვლინების მოგონებას აღარ უახლებ მკითხველს. ჩვენ მხოლოდ გადავადლოთ თვალის სასოფლო პურის მაღაზიების მდგომარეობას.

რა გვართაც გლეხებს ჩაგონეს მაღაზიების სარგებლობა, იმათ ეგონათ, რომ მაღაზიები იქნებოდა შიმშილის დროს ჩვენი ნეთსადგურიო, მართლაც უნდა ყოფილიყო, რომ მათზედ რიგიანი ზედამხედველები ყოფილიყვნენ, ან იყვნენ. მაგრამ ესლა რა სარგებლობას უნდა მოელოდნენ მაღაზიებიდან, როდესაც ყოველს წელს „მეაქეთ სულადი და შიგ კი არა სჩანს რა. რომ დაინახოთ სოფლის პურის მაღაზიები, ბევრში ვერა ნახათ მეათედ ნაწილს შეტანილი სულადისა. რა იქნა ის სულადი — ღმერთმა იცის. მაღაზია იმათია, ვინც შემძლებელი პირია სოფელში; როცა უნდათ, მაშინ სარგებლობენ მაღაზიებიდან. ღარიბს კი არც უსარგებლობია და ვერც ისარგებლებს, თუ კიდევ ამავე წესით დარჩა მაღაზიების არსებობა.

მღვდლები ამას ყველას ხედვენ, მაგრამ ისე გულ-გრილათ უყურებენ, თითქო მათ გვერდზედ კუნძს ხედება თოფიო. მანა არ შეუძლიანთ მოსკონ ამ გვარი უწყობა, დაუშალონ იმ პირებს, რომლებიც უწყობათ სარგებლობენ მაღაზიებიდან? სულ ყველაფერი შეუძლიანთ, მაგრამ სად არის მონდომება და თავის გამოდება.

ა, ამ გვარად მოტყუებულს და გაბრაზებულს ხალხსა უქად გებენ ახლა სასოფლო ბანკების გაშართვას. მე შევესწორ ერთს სოფელში იმ დროს, როდესაც ერთი პირი სოფლის ხალხს ურჩევდა ბანკების გაშართვას. ამ პირმა ძრიელ გონიერულათ და მშვენიერათ აეწერა ბანკის სარგებლობა, მაგრამ სოფლელებმა აი რა უპასუხეს:

„რაც გავმართეთ, იქიდან რა სარგებლობა ენახეთ, რომ ახლა ეგ გემართოთო; ბანკიც იმათი იქნება, ვისიც ეხლა პურის მაღაზია არის. არა, ჩვენ მეტი ფული არა გვაქვს, რომ სხვას ვაქამოთო.“

თუმცა იმათ სიტყვებში გაუგონლობა იხატებოდა, მაგრამ იმათ გაუგონლობას გონიერული საფუძველი ჰქონდა და ამისათვის ისინი გასამტყუნარნი არ არიან.

აბა ერთი ჩვენმა ხალხმა ნახოს, რომ თქვენმა დაწყობილმა საქმემ იმათ სარგებლობა მოუტანა და მაშინ ნახათ — თუ რა ფასი დასდონ ყოველს გვარს თქვენს სიტყვას; ეგონებ, თქვენის სიტყვით კლდეზედ გადაცივიანაც არ დაიხარონ. მაგრამ რა ქნან საწყობებმა, რაც ესმით, იმას ვერა ხედამენ და ამისათვის გულ-გრილათ ისმენენ ყოველ გვარს თქვენს ორატორობას.

ამ მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი და ამას მღვდლები გაუგონლობას უწოდებენ!

ჯიმი ვლი

დღიური

□ მ. ზეტს „ქვეზში“ დაბეჭდილია:

„რადგან თავისუფალ სენათში ადგილობრივ მთავრობის წინააღმდეგ ხალხს ურჩობა ამოჩნდა, ამისგან მოწყობის დასამკვიდრებლად, დიდი მთავრის ქვეპის ნამესტნიკის ბრძანებით, იქ გაიგზავნა 1 ბრიგადის 41 ქვევითა დივიზიის კამანდირი, დენერალ-მაიორი სიტოვიჩი ცალკე ატორადით, რომელშიაც ირიცხება ერთი ვზეოლი მთის ბატარეისა და 1 კამანდა პირველი ქვეპისის საპიორის

ბატალიონისა. ბრძანება, რომ ეს ჯარები სალაშქროდ მომზადებულიყო, ივლისის 2-ს, ნასადილევის 4 საათზე, მოვიდა ქალაქში. მეორე დღეს საღამოს 8 საათზე ეს ჯარი, ორი ზრბაზნით, განსაკუთრებული მატარებლით წვიდა შუთაისისაკენ და 41 საათის შემდეგ შუთაისის სტანციაზე იმყოფებოდა.“

ამ სიტყვების შემდეგ, „ქვეზში“ ეს შენიშვნაა დაბეჭდილი:

„აშნაირად, შოთი მთილისის რკინის გზა გვძლევს ღონისძიებას არათუ პასაჟირებისა და საქონლის გადატან-გადმოტანისას, არამედ საჭიროების დროს, ჯარის საჩქაროთ გადაყენისას. ეს გარემოება დიდ მნიშვნელობას აძლევს სამხედრო დროს რკინის გზას, განსაკუთრებით იმ ჯარებისთვის, რომელიც მთილისშია დაყენებული და რომელიც ამ გზით ძლიან მოკლე დროს განმავლოაში შეიძლება რაინის მხარესაკენ გადაიყვანოს მთავრობამ.“

□ ქუკის ხადის თავში, მირზოევის ახალს შენობაში ყველა გამგეული უნებურად მიაკცევს ყურადღებას ევროპიულად მორთულს წიგნის მაღაზიის, რომელიც დიდი ხანი არის რაც ბრიტანის სახარების მამავრცელებელი საზოგადოების აგენტმა გამართა ჩვენს ქალაქში.

ძალიან შესანიშნავი საზოგადოებაა ეს საზოგადოება. ის დაარსდა ღონდონში 1804 წელს. მას აქეთ თავის მიზნის აღსასრულებლად, ე. ი. ძრისტეს სწავლას გასაერცელებლად, ორმოცდაათი მილიონი მანეთი დაუხარჯავს. ორას სხვა და სხვა ხალხების ენებზე დაუბეჭდაეს თუ სახარება და თუ სხვა სამღვთო წერილს წიგნები.

თითქმის ყველა ველური ხალხების ენებზედ არის დაბეჭდილი და გერცელებული სამღვთო წიგნები, და ქართულს ენაზე კი არცერთი! როგორც გვიგეთ, აგენტი ცდილობს, რომ საიდამაც რიგია ნებართვა მიიღოს ქართული იაფი სახარების დაბეჭდვისა, ან სხვა ვისმესგან გამოცემული სახარება იყიდოს რამდენიმე ათასი ეგზემპლარიო.

□ ჩვენმა ქალაქს გამგეობამ დაამტკიცა შპრავისაგან წარმოდგენილი შტატი. ამ შტატის ძალით, ეძლევა წელიწადში ჯამგირი: ძალაქის მოთავს — 4,000 მანეთი, უპრავის სამსწერს (თითოს 3,000) — 9,000 მ. დუმის სეკრეტარს — 2,000, იმის მწერალს — 360, მთავარ ბულგალტერს — 1,800, იმის ორ თანაშემწეს (თითოს 1000) — 2,000, ხაზინადარს

— 1,500, იმის მონაგარიშეს — 500, ეგზეკუტორს — 600, ქალაქის ადვოკატს — 1,500, სამს საქმის-მწარმოებელთა (თითოს 1.000) — 3,000, მწერლებს — 3,000, განათებისა და გათბობისათვის, და ყარაულებს — 2,000, ძალაქის ექვს კამისარს (თითოს 720) — 4,320, ექვს დეიატნიკს (თითოს 120) — 720, ორს ეპრობის ზედამხედველთ (თითოს 800) — 1,600, ბაზრის ხუთს ზედამხედველთ (თითოს 300) — 1,500, იმათ ოთხ დესიატნიკს (თითოს 120) — 480, ოთხს ცხენოსან დესიატნიკს (თითოს 300) — 1200, სულ — 41,000 მანეთი. ამაში არ არის მოხსენებული გასაღლი ობლების აპეკისა, დამფასებლებისა და ქალაქის არხიტექტორისა და მიწის-მზომელის (ზემლემერისა).

□ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქალაქის ფარების განათება ახალს იჯარადარს აუღია. ძალაქში ამ ჟამად სულ 887 ქუჩის ფანარია. დღემდე თითო ფანარის განათება ქალაქს თითქმის 22 მანეთად უჯდებოდა წელიწადში; ახალ იჯარადარს კი 18 მანეთად აუღია. მა იჯარა ქალაქს სამი წლის ვადით მიუცია. მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ ამ დროს განმავლობაში ქალაქმა გაზით მოახერხოს ქუჩების განათება, მაშინ კანტრაქტს ძალა აღარ ექნებაო. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი ქუჩის ფანარები ბევრს ამისთანა იჯარადრებს გამოაცვლის კიდევ, სანამ გაზის ხილვას ეღირსებოდეს.

□ შორაპნის მახრიდამ გეწერენ, რომ განსაკუთრებით ბევრი ზიანი მოუტანა წვიმებმა ჩვენი უეზის მცხოვრებლებსო. ზოგიერთ სოფელში საწყალი გლეხების სახლ-კარი, საბძელ-სასიმიინდე და ბოსელი პირუტყვებიანი მოუგლეჯია ნიაღვარს და წაუღია. სხვათა შორის, საჩხერეში ერთი თავადიშვილის ჩინებული ბაღი მოუტაცნია წყალს, რომელშიაც ბევრი სხვა და სხვა ქვეყნის ხეხილები, ყვავილები და სამკურნალო მცენარეები იყო თურმე.

□ შუ. დ. წერეთელი გეცნობებს, რომ ის შეუდგა ზემო-იმერეთში სახალხო ლექსებისა, შიარებისა, ზღაპრებისა და აგრეთვე ძველი ამბების შეკრებას და გეთხოვს გამოცხადოთ, რომ ყველამ, ვისაც შეუძლიან, ამ საქმეში ხელი მოუშაროთ იმას.

□ გუშინ, ამთვის 10-ს კიდევ საშინელი წვიმა და სეტყვა იყო ჩვენს ქალაქში; მაგრამ საღამოს ისევ გამოიდარა! ახირებულია! ამისთანა დაქნება იქნება...



„დროების“ კორესპონდენცია

მიზიუდგან, 4 მაკათვეს

სამი წლის მოუხალობისაგან თვალ-გულ გატეხილ და გაღატაკებულ ქიზიყელებმა, რომ დინახეს მშვენიერი ზოსავალი ყანებისა, მიეცნენ დიდ სიხარულს; თითქმის დაიწყდათ სამი წლის გოლვისაგან მოსული ზარალი, უქონელობა დღიურის ლუკა-პურისა, გამოუთქველი იწუხარება. წიგნადელ თავი ნაშრომს უჭერდნენ კეთილის თვლით, განარებულნი და ორზომად განმხნეველები ემზადებოდნენ ქარნახულის მოსამკლად, როგორათაც მხიარულად მიმავალი სიძე თვისის საყვარელის სასძლოსადმი.

მაგრამ, საუბედუროდ ჩვენ და, პირიგლის თიბათიდგან ჩვენს მშვენიერს მოსავალს გამოუჩნდა საშინელი მებრძოლი მტერი, ე. ი. თაგვები, რომელთაც ჩვენს ქარნახულს მისცეს დიდი ზარალი. შეძლებულნი პირნი, რომელთაც ჰქონდათ ერთი დღიურის ნახნავიდგან ოთხი ურმის ძნის იმ დი, ორს ურემს ძლივს გამოარჩნენ, ხოლო მცირე ნაშრომის პატრონი სულ ცარიელი დარჩნენ.

ამ უბედურებაში მყოფი ქიზიყელები შემოუსვლელს ყანებს მკიდნენ და ეზიდებოდნენ კალოებში, ცდილობდნენ, რომ გადაეჩინათ თავიანთ ქარნახული ამ მტრისაგან. მშვიერის მუცლით, თითქმის ორი ნაწილი ქარნახულისა მომკეს და მოზიდეს კიდევ.

მაგრამ, ამ მხურვალე მუშაობის დროს, კიდევ საუბედუროდ, ზედღაერთო საშინელი აედრები, საშინელი წიგნები, ასე რომ ნახევარს თიბათიდგან მოკიდებული ღვსაც არ შემდგარა. რაც მომკილი ძნები ჰქონდათ, სულ აუღვიჯილდათ, უფუჭდებათ და ხელიდგან მიზდათ; აედარს წინათ, რომელთაც ჰქონდათ ოთხასისა და ხუთასის კოდის სულადის იმედი თავიანთ ქარნახულიდგან, ღვს ალარ ელიან მესხეთედს ნაწილს; რაც მოსამკალი ყანები დარჩათ, იმათგანაც არ იმედობენ მეოთხე ნაწილს და ზოგნი სრულგებთაც ამ გვარმა უბედურებამ გარემოცო და რჩეიან უნუგეზონი; რაც გათიბული საქონლის საკეები თიგები ჰქონდათ, იიც მრთლად დაუღაბათ.

აბა, ვიფიქროთ, ამ ჟამად ჯერ ისევე კუჭ ცარიელი ქიზიყელები რამდგომარეობაში იქნებიან: აედრისაგან კალოები ვერ გაუღწეათ, და ითმენენ მოუთმენელს შიმშილს. ამათი საზრდო არის ქუმელი ქერი-სა, ასე რომ ქერის ძნებს ურო ხედათი ჰბეგვამენ, იქიდგან გამოაძევიეს ქერის მარცვლებს ახმობენ ცეცხლზედ, ხელის საფქვეზედ ღერღამენ, ამით ქუმელს აკეთებენ, და იმაგრებენ სიცოცხლეს.

თუ ბუნებამ ამ სახით განაგრძო თავის შეუბრალებლობა, თქვენი მტერი, რომ ქიზიყელების სიცოცხლე მოსპოს, მაშინ ამათ დარჩებათ მხოლოდ იმედათ გაზაფხულის მოსავალი ფეტვისა და სიმინდისა.

ამ აედრის წინათ, და თითქმის წარსულს ზამთარში, დიდის თოვლიანობის დროს სიღნაღში წმინდა

ფქვილი ისყიდებოდა ფუთი მანეთად, და ღღეს კი ორს მანეთად; მაშინ როდესაც ეხლა ფუთი სამს აბაზათ უნდა იყვეს...

ალექსანდრე ნასიძე

სამურძაყანო, 23 ივნისს

დიდი ხანია, რაც სამურძაყანოში ქრისტიანობაა, მაგრამ აქ სოფლებში ახლაც დარჩენილია ბევრი ისეთი გასაოცარი ჩვეულება და წარმართული რწმუნება, რომ სწორეთ გაუკვირდება კაცს.

ამას წინათ ერთს სამურძაყანოს სოფელში ვაყავ, რომელსაც ჰქვიან ჯაბურ-ხინჯი *). მივედი თუ არა ერთი ნაცნობის სახლში, მიმიღეს კარგათ, როგორც აქაური ხალხის ჩვეულებას შეჰფერის, თუმცა, საუბედუროდ, ახლა თან-და-თან ეკარგებათ ეს საქები ჩვეულება—ყველა ტუმრის პატვის ცემა.

ჩემმა მასპინძელმა მიხოვა:—აგერ ჩემ მეზობელს „შინის-ხემა“ აქესო, იქ წავიდეთ და ვისადილოთო. მე ვკითხე: რა არის „შინის-ხემა“—მეთქი? მასპინძელმა მიპასუხა, რომ გუშინწინ ქუხილი იყო და მესხი დეცაო ამ ჩემი მეზობლის ეზოშია და მოუკლაო ერთი სალოცავი ძროხა. მსლა იმ მესხის გამოგზავნის (ჰაერს) უნდა შესწიროს ის ძროხაო.

რადგანაც უფრო კარგათ მიხლოდა გამეგო ეს ჩვეულება, მეც დავეთანხმე ჩემ მასპინძელს და წავედი მეზობელთან.

შემიყვანეს ერთს დიდს ტყეში, სადაც ბევრი კაცები იყვნენ შეკრებილნი. მივედი თუ არა, ვნახე მიწაში ჩავსოთ ოთხი მალალი სეტი, სიმაღლით თითოეული სამ საქენამდისინ; ზევით გავეგოთ ფიცრებით და ძროხაც იქ დაედათ.

ხალხი გარშემო ესეოდა ამ ძროხას და თაყვანს ჰსცემდნენ.

მეორე ადგილასაც იყო ამ ნაირი სეეტები დასმული და მას ზედ დაეწყეთ ორი მოხარული მსუქანი ცხვარი და ერთი დიდი ვაცი. ყველა კუთხეები სეეტებისა სანთლით იყო განათებული.

მე მოვზორდი მლოცველ ხალხს, წავედი, ერთი ხის ძირს ჩამოვეჯექი და იქიდან დაუწყე ცქერა.

ას კაცამდინ იყვნენ აქ შეკრებილნი; ქლები კი არ მოიძეოდნენ, რადგანაც მათ არ შეუძლიანთ დასწრება ამ ნაირი ჩვეულების აღსრულების დროს.

როგორც ბოლოს შევიტყე, ყველა ესენი ერთი გვარის კაცები ყოფილან. ძროხის პატრონი, რომელსაც ძროხა მოუკლა მესმა, ღრმა მოხუცი იყო; ის მიიყვანეს იმ სეეტებთან, სადაც იყო შემზადებული დაწყობილი მიხვერპლი ჰაერასა, როგორც ისინი უძახიან „შინის-ხემა“, ჩაბეს ჯაჭვი და ყველანი მოემზადნენ სალოცავათ. მართი

* ჰიბურის ხინჯი არის სიტყვა მგერული, ნიშნავს „წაბლის ხიდს“. ამ სოფლის მახლობლად, მდ. ინგურზე, ხიდი ყოფილა.

მოხუცებული კაცა გამოვიდა ამ შეკრებულებიდან, წაიყვანა ეს მოხუცი ჯაჭვით, უქან გჰყენენ სხვანი; წინამძღოლმა აფხაზმან დაიწყო რა-ღაც ლოცვა აფხაზურს ენაზედ. რომელიც ვერ გავგე და ეს კაცი კი ოთხჯერ შემოატარა ამ სეეტებს. მერე დასდნენ ყველანი, ჩამოიღეს შემზადებული ცხვრები და ისადილეს.

მე კი არ მიმიღია მონწილეობა იმათს სადილში, რადგან, როგორც შევეტყე, წყრებოდნენ: როგორ ბედავს, ვინ არის, და ან რა ნაირათ გვათვალისწინებს ამ სამღეთო საქმის აღსრულების დროსაო!...

ბოლოს ცხვრების ტყავები გარდაჰკიდეს ხეებზედ: ისრე უნდა დაღვავს, რომ არაფერი არ მიეკარაო; ძროხა კი დარჩა შეუხებელად დასვენებული სეეტებზედ.

წასვლა რომ დააპირეს, ძროხასთან მივიდნენ ყველანი, ერთხელ კიდევ თაყვანი სცეს და ბოდიში მოსთხოვეს: იქნება რამე ნაირათ შეეცდით შესწიწათო.

ეს შემთხვევა მოხდა პარასკევს დღეს, და ამ მლოცველ პირთ „შინის-ხემა“ არ შეუძლიანთ, რომ პარასკევს დღეს იმუშაონ და ერთი ფარას საქმე გააკეთონ, თითქმის ცეცხლსაც ვერ მისცემენ თვითნებ მეზობლებს.

როგორც გავეგე, თითქმის ყველა სამურძაყანოს სოფლებში აქეთ ამ გვარი ჩვეულება, ყველას აქეს თითო დღე, გარდა კვირისა, უქმათ გადადებული.

საუბედუროდ, მე ვერ გავიგე—რა ჰაზრი და რა მნიშვნელობა აქეს ამ „შინის-ხემის“ ჩვეულების ასრულებას.

აქაური მთავრობა, როგორც სა-მოქალაქო, აგრეთვე სასულიერო ცდილობს თურმე ამნაირი ცრუ-მორწმუნოების მოსპობას; მაგრამ, ჯერჯერობით იმათი მეცადინეობა რჩება უნაყოფოდ.

ბ. ბაბისონია

რუსეთი

რადგანაც მთავრობას დაუნახავს, რომ ახალი წესდება ადვოკატების შესახებ, არ აკმაყოფილებს სამართლის მოთხოვნილებას და ძველს გაიძვერა ადვოკატებს ახლაც არ მოსპობათ სასამართლოებში სიარულის უფლება, ამის გამო, ამბობენ, იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქესო, ისეთი წესდება გამოსცეს, რომლის ძალითაც მხოლოდ საშუალო და უმაღლესს საწავლებელში კურს შემსრულებულებს მიეცემათ ადვოკატობის უფლება. ამას გარდა ყველა პალატათან დანიშნული იქნება ცალკე კამისია, რომელიც მსურველებს ეგზამენის დააქვინებს კანონების ცოდნაში.

ამბობენ, პეტერბურღში ისეთი საზოგადოება სდგებაო, რომელიც რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში ადვოკატების ყადვას აპირებს, შიგ სახლებს ააშენებ და წინადადებას მისცემს გლეხებს, რომ იქ დასხლდნენ, ეს ადვოკატი შეამუშაონ და

მოხსავლიდამ ერთე წელსაწარმოებებს უზაროსო; ექსპანსიური ქმედ ნახევარი მილიონი ფული აქეს თურძე.

ზახეთი „რიგის მოამბე“ გეაცნობებს, რომ ქალაქს პოლმარში ისეთი შკოლა იპართება, სადაც მხოლოდ მუნჯებს მიიღებენ და ასწავლიან. შკოლას ადგილობრივი კეთილის-მყოფელი საზოგადოება ხსნის. მითო უმწვეილმა წელიწადში სწავლისა და შენახვისათვის ათი თუბანი უნდა შეიტანოს.

რღეი დამ ზოგიერთს რუსულ გზებებში იწერებიან, ვითომც ამ ქალაქში ხოლგრა გაჩნდაო. აპობენ, ჯერ-ჯერობით ოცდახუთი კაცის მეტი არ მომკვდარა ამ აეთ-მყოფობითაო.

პეტერბურღის უწყებებში იწერებიან, რომ ამ ორი წლის წინათ ორი დანი, გლეხის ქალები ჩამოსულან პეტერბურღში იმ განზრახვით, რომ იქ-ურს საქალგო კურსებში ბებოებისთვის მომზადებულიყენენ. ორი წლის განმავლობაში იმდენი იზრომეს და ეცადნენო, რომ გიმნაზიის პროგრამით ეგზამენი დაიჭირესო და წილს მედიკო-ხირურგიათნ გახსნილს საქალგო კურსებში დაიარებიანო.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. ივნისის 26-ს შეკრებილან მერსალში ნაციონალური ძრების ყველა პარტიების თავს-მჯდომარენი, გარდა ლე-ლა-რომეტისა, რომელიც უკიდურეს მარჯვენა მხრის თავს-მჯდომარეა. ლორან პიშა დაესწრო როგორც წარმომადგენელი რესპუბლიკელი კავშირის პარტიისა, შულ-ჩეროი—მარცხენა რესპუბლიკელი პარტიისა, ლაბულე—მარცხენა ცენტრისა, ლავერნ—ლავერნის გრუპისა (მარჯვ.), საკაზ—ძღვრკის გრუპისა (მარჯვ.), ბოშე—მარჯვენა ცენტრისა, ძერდრელი—ძოლებრის გრუპისა (მარჯვ.). ამათ ჰქონათ მოლაპარაკება ნაციონალურ ძრებას დათხოვნის თაობაზე. მარჯვენა მხრის წევრებს, თითქმის ყველას, ერთხმად გადაუწყვეტიათ, რომ სანამ ყველა აუცილებელ კანონებს არ გადახედავს და არ დაამტკიცება ნაციონ. ძრება, მანამ იმის დათხოვა არ შეიძლებაო. მარცხენა მხარე კი, ამათ წინააღმდეგ ამტკიცებდა, რომ ყველა ამისთანა კანონდებულებისა და წინდადებების გადახედვა ორს ბევრსამ თვეში შეიძლებაო; და ამიტომ სანატრელიაო, რომ ნაციონალურმა ძრებამ აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსპოს თავის სხდომებიო. ამათი გამოანგარიშებით, აგვისტოში ვიხსნება ჩვეულებრივი სხდომები მუნიციპალურ რჩევებისა (ქალაქების გამგებებისა); შემდეგ ნაციონალური ძრება, ენკენისთვის პირველ რიცხვებში, ხელახლავ შეიკრიბება, აღმორჩევითი და ბექდის კანონების განახილველად და აგრეთვე 75



სენ ტორის აღმარჩევა მოხდება სექტემბერში, და ხალხის წარმომადგენელი პალატის დეპუტატებისა შუა ნოემბერში. ამბობენ, რომ მმართველობაც საიდუმლოდ ამ პლანის თანხმა არისო.

შრანტუზულ გაზეთში დაბეჭდილია ლუი ბლანის სიტყვა, რომელიც ბარბალოის დღეობის ბანკეტზე წარმოუთქვამს და რომელზედაც ახლა ბეგრს სწერენ. ლუი ბლანი გვერით და პარ-და-პირაც კიცხავს საზოგადოთ რესპუბლიკურ პარტიასა და განსაკუთრებით იმის მოთავეს მ. ბეგრს იმისთვის, რომ იმან ძალიან ბევრი დაუთმო მონარხისტებსო. ამ ზომიერი რესპუბლიკელების წყალობით, ჩვენ გვაქვს ახლა ისეთი რესპუბლიკა, რომელიც თავის წესებით მონარხიას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ რესპუბლიკასო. და თუ შემდეგშიაც ამ გზათ, იარეს უეჭველია, საფრანგეთის რესპუბლიკა, თვითონ ამისთანა რესპუბლიკელების წყალობით, ერთ დროს მონარხიას გადაიქცევაო.

ქრონიკა 24

ქართველთა მონაწილეობა სპარსეთისა და ალექსანდრე მკედონელის ომში ვ. ვ. ველს, ძრის, დაბადების წინ.

მრთს მოთხრობაში ჩვენ ვსტყვი, რომ საქართველო ოთხ სასატრაპოდ განიყოფებოდა, მაგრამ უფრო გარკვევით ასახსნელად ალექსანდრე მკედონელის ომში ქართველებსაგან მონაწილეობის მიღებისა და ი. ზონისა, შარნავზისა და მიტრიდატის, ვინაობის ასახსნელად, მე იძულებული ვარ გავიმეორო კიდევ ეს სასატრაპოები.

ნამდვილად გამოკვლეულია, რომ ძველი ისტორიკოსები საქართველოს ერთ სხელს არ უწოდებდნენ. რადგან მთელი იმისი მიწა-წყლი ნაწილად განიყოფებოდა მთებით, ამის მიხედვით იმას იცნობდნენ ოთხი სახელით. აი ეს სახელები: ალბანია, იბერია, მესეთი და ძოლხიდა.

ალბანია არის ახლანდელი ქახეთი, იბერია აწინდელი ქართლი ახალციხის მაზრითურთ, მესეთი — სამცხე-საათაბაგო, რომელიც მსმალეთს უჭირავს, ძოლხიდა არის ახლანდელი იმერეთი ბათუმამდე.

საქართველოს მიწა-წყლის აი ამ ოთხივე ნაწილში, ალექსანდრე მკედონელის სპარსეთთან ომის დროს, იყვნენ სატრაპები, რომლებსაც „ქართლის ცხოვრება“ მამასახლისებად იცნობს.

ამ მამასახლისებში პირველი იყო იბერიის — მცხეთის მამასახლისი, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ თქმით, სახელად ერქო სამარა. ამ სამარას მამასახლისო, ახლანდელი ქართლი, ეგონებ შეადგენდა სპარსეთის სამეფოს მე-XIX სასატრაპოს. მეორე მამასახლისო იყო ალბანია — ქახეთი. ქახეთს „ქართლის ცხოვრება“ მე-X საუკუნემდე ჰქრეთს უწოდებს.

ამ დროს ქახეთის მამასახლისის სახელი არ არის ცხადი. ეს ქახეთის მამასახლისო შეადგენდა სპარსეთის სამეფოს მე-XVIII სასატრაპოს. მესამე მამასახლისოს შეადგენდა სამცხე-საათაბაგო და იყო მამასახლისად ის მიტრიდატი, რომელიც მოსე ქორენელის სიტყვით, ალექსანდრე მკედონელს შეელოდა სპარსეთის მეფესთან ომში. ეს მამასახლისო ღეროდოტის სიტყვით შეადგენდა სპარსეთის სამეფოს მე-V სასატრაპოს, როგორც ამბობს დიმიტრიძე თავის თხზულების „საქართველო“ 43 კაბადონზე. მეოთხე მამასახლისო იყო იმერეთი, სადაც მამასახლისობდა ქუჯი, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ თქმულებით უშველა შარნავზს გამეფებაში. ეს მამასახლისო ვეჭობ სპარსეთს არ ემორჩილებოდა.

ქართლის მამასახლისი სამარა და ქახეთისა ომში სპარსეთის მეფეს ღარიოზს ჰმეველოდნენ; მესამე მამასახლისოს მამასახლისი მიტრიდატი კი ალექსანდრე მკედონელს, როცა ალექსანდრემ ასტენა ომი, ვ. ვ. ველს ბრანიკის მდინარის მახლობლივ თვითონ ალექსანდრემ მოჰკლა სამარა მამასახლისი და იმისი ძმა მიტრიდატი, შარნავზის მამა, რომელიც ღარიოზის სიძე იყო.

თუმცა ბრათაშვილი თავის ისტორიაში ამ პარებს მოხსენებს, მაგრამ ამბობს, რომ მიტრიდატი, რომელსაც ის შარნავზის მამად ჰგონებს, ალექსანდრემ არ მოჰკლაო. ჩემი ჰაზრით ბრათაშვილი შეშეცდარია. ის შეუყვანია შეცდომილებაში იმ მიტრიდატს, რომელიც ჰმეველოდა ალექსანდრე მკედონელს და ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგაც ცოცხალი იყო, მერმე 317 წელს საქართველოს სატრაპის სახელით საბერძნეთის მხედარ მთავარს მემანს ჰმეველოდა სპარსის მეფის ანტიოხანის წინააღმდეგ და მოიკლა ამ მეფისაგან. ბრანიკასთან ალექსანდრესაგან მოკლული მიტრიდატი, სიძე ღარიოზისა, და მემანის ლაშქარში მყოფი სატრაპი ერთი და იგივე პირი ჰგონია, მაგრამ, მის ჰაზრით, დრო, ადგილი და სიკვდილის გარემოებები შეცდომით სხვა ფრად არიან ნაჩვენები.

ბრათაშვილის ამ ჰაზრს მე არ ვერწყუნები და ვამტკიცებ, რომ შარნავზის მამასაც მიტრიდატი ერქო და მცხეთის სატრაპაც. ეს ჩვენი ჰაზრი მით უფრო უმეტეს მართლი არი, რომ ქართლის ცხოვრება მცხეთის მამასახლისისა და შარნავზის მამის სიკვდილს ალექსანდრეს მიაწერს, ვრდა ამისა ქართლის ცხოვრება შარნავზის მამას მამასახლისად კი არა რაცხს, არამედ ამბობს, რომ ის იყო მცხეთის მამასახლისის სამარას ძმაო.

მე ვინ იყო იბერიის სატრაპი მიტრიდატი, რომელიც ჰმეველოდა ალექსანდრეს და 317 წელს მემანს? ეს მიტრიდატი იყო სამცხე-საათაბაგოს მამასახლისი. ეს ჰაზრი მით უმეტეს უფრო უეჭველად გვეჩვენება,

რომ თუ შარნავზს მამა ღარიოზ მეფის სიძე იყო, შესაძლო არს ვიტყვით, რომ სიმამრს არამც თუ ომის დაწყებაშივე არ უღალატებდა, არამედ ნათესაობისა გამო უფრო უშველიდა. მაშ ჰსჩანს მოსე ქორენელის იბერიის სატრაპი მიტრიდატი, ალექსანდრეს მომხრე, იყო სპარსეთის სამეფოს მე-V სასატრაპოს — სამცხე-საათაბაგოს მამასახლისი.

ამ სახით, ჩემი ჰაზრით, მართლდება ქართლის ცხოვრების თქმულება და მოსე ქორენელის სიტყვებიც იბერიისა სატრაპის მიტრიდატის ალექსანდრესთან მიმოკერძვის შესახებ და ცრუდება ბრათაშვილის ჰაზრი.

ინგილო ჯ. ნ. შვილი

სამართალი

ნოტარიუსის საქმე

დასული მაისის 5-ს პეტერბურლის ოლქის სასამართლომ გაარჩია ერთი საქმე, რომლის შეტყობა ჩვენი მკითხველებისათვის, განსაკუთრებით ქუთათურებისათვის, უეჭველია, სასარგებლო და გამოსადეგი იქნება, რადგან, როგორც ვიცით ამ გვარი შემთხვევები ჩვენში იშვიათი არ არის.

საქმე აი რაში მდგომარეობს:

პეტერბურლის სამოსამართლო პალატის პროკურორის სეკრეტარს, მასლიანნიკოსს გადაწერილი და ყველაფრით დამზადებული ვეკილობა შეეტანა ნოტარიუსთან იანკნთან და ეთხოვა, რომ ამ ვეკილობის ქალღმრთის ქვეშ ხელის-მოწერა შეემოწმებინა. ნოტარიუსმა შეამოწმა; მაგრამ ფულის მოცემასზე რომ მიეცა საქმე, მასლიანნიკოსს უთხრა, რომ სანამ მანეთს არ მომცემ, მანამ ქალღმრთლს ვერ მიიღებო. მასლიანნიკოვი იძულებული იყო, კანონიერი ორი შაურის მაგიერად, მანეთი მიეცა.

მაგრამ მეორე დღესვე იმან შეიტანა ნოტარიუსის უკანონო მოქმედებაზე სჩივარი ოლქის სასამართლოში. საქმის გარჩევის დროს, მომჩივარი ამტკიცებდა, რომ ჩემთვის ის თერამეტა შაური კი არ არის საჭირო, რომელიც ნოტარიუსმა უკანონოთ აიღო, მე მსურსო, რომ ყველა ნოტარიუსებმა შეიტყონო, რომ იმათ უფლება არა აქვთ ანაირად ყვლიფონ ხალხი და კანონით დადებულზე მომეტებული ანდვიონონო.

სასამართლომ ეს საქმე მომჩივრის სასარგებლოთ გადაწყვიტა: ნოტარიუსს განკცხევა გამოუცხადეს, თერამეტა შაური, რომელიც მომეტებული წაეღო, გადახდევინეს და მომჩივარს ჩაბარეს.

ნარეკი

შველა ქვეყნიდან ძლიან ბევრ ნივთს აწვადებენ ამერიკის გამოფენისათვის გასაგზავნათ. რუსეთიდან, სხვათა შორის, ერთი რუსი ბევრ სახალხა წიგნებს გზავნის.

პრავის ოფიციალურს „საქართველოს“ იმ ახალ სახელწოდებას „საქართველო“ სტრიის ერთ პროვინციაში (სატაროს მამარაში — ლალოციაში) უნდა შემოიღონ. ეს ბოქმის გაზეთი ამბობს, რომ დღემ ცივლების შესახებ სტრიის სამხედრო კანონი შეიცვლება და ისე უნდათ მოახტონ ეს საქმე, რომ ამ ხალხის ჩვეულებასა და ადასს არ უწინააღმდეგოსო; სხვათა შორის, ლალაცივლების ჯარი თავისებურად იქნება ჩაცმული და თვის იარაღი ექნებათ.

შენაში მასულა ახლა ერთი შესანიშნვი ფეხით მოსიარულე ჰოლონდელი კაცი, რომელიც ვილაცს დანადგებია, რომ ოცდაათი დღის განმავლობაში შენიდამ ამსტერდამამდე მივალ ფეხითაო, ე. ი. 1,138 ვერსს გავივლიო (დღეში თითქმის 40 ვერსს); იმას უკან ერთი მოწამე უნდა გაჰყვას, რომელიც ან ეკიპაჟი იქნება და ან რკინის გზით გამოუდგება. ამ კაცს შარშან ათ დღეში 490 ვერსი გაუვლია ფეხით, ამსტერდამამდე პარიზამდე.

მრთი ისეთი ელექტროული განმანათებელი მაშინა მოუფიქროს ბრანიაში, რომელიც ისე ანათებს თურმე, რომ შეიღ ვერსზე კითხვა შეუძლიან კაცს. ამას წინათ ეს მაშინა ბერლინის ერთი ებრაიკის სახურავზე დაუფიქრებდა და იქიდან გაუწათებიათ თითქმის მთელი ქალაქი. ისეთი ძლიერი სინათლე აქვსო, ამბობენ, რომ ახლოს კაცი თვალს ვერ გაუჩიკებსო. მრთიარის სარკის საშუალებით, ამ მაშინისაგან გაჩენილი სინათლე ჰქრში აუტაციანთ და დიდ მანძილზე ანათებდა თურმე ცას. შეიძლება თურმე, რომ სხვა-და-სხვა ნიშნები უჩვენოს კაცმა ჰქრში ამ სინათლემი; ასე რომ ნემეცებს უნდათო, რომ ის ომიანობის დროს გამოიყენონო.

მსმალეთის მთავრობამ ცენზურა, როგორც დრო-გამოშვებით გამოცემებისთვის, აგრეთვე წიგნებისთვისაც, მხოლოთ ახლა შემოიღო.

საკვაჭრო

△ ქავასიის სამხედრო მაზრის ინჟინერი სამართველო გამოიხმობს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით ალბა შემდეგი მუშაობისა: ყაზარმბად და ცეიხაუზად უნდა გადაკეთდეს სტერობოლოში: 1) ორ ეტაჟიანი ლაშბიტალი — 5,929 მანეთად; 2) ორი მაღაზია აფთიაქის საგნების დასაწყობად 24, 168 მანეთისა და 66 კაპეიკია მუშაობა; 3) აქვე უნდა აშენდეს ორი ქვეთიკრის სამაზრეულო ფურნითა და სალაროთი — 10,012 მანეთად და 4) ამ შენობებს ქვეთიკრის ქედელი უნდა შემოეკლას — 1,030 მანეთად. მკრობა დანიშნულია ოფილი ში ინჟინერის სამაზრო სამართველოში ივლისის (მკათათვის) 30-ს 1875 წელსა.

△ ქავასიის სამხედრო მაზრის ინჟინერის სამართველო გამოიხმობს მსურველთა, რათა იკისრონ, იჯარით, 1 ქავასიის მ. ი. შ. მიხაილ ნიკოლოზის ძის ბატალიონისათვის აშენება: საჯინბოსი, ლაბორატორიისა, წმლის სარდფისა და სახელოსნო მაღაზიებისა, — სულ 17,872 მანეთისა და 27 კპ. მკრობა დანიშნულია ოფილისში ივლისის 26-ს 1875 წ.

△ იგივე ინჟინერის სამართველო გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით ალბა შემდეგი მუშაობისა: 1) მე-15 ოფილისს გრენადერის ბატალიონისათვის ყაზარმის აშენება, 2) საპურბიდი, აშენება უნტერ აფიციის ყარაულისათვის და 3) № 227 ფლიგელის შეკეთება, სულ — 91,398 მანეთის ს ქმეა.

